სახალხო გაზეთი

№ 209 სამშაბათი, 18 იანვარი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 209

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящ. N 190.

ცალ-კე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაპიროსები

გალეა № 1 25 ც. 38 კაპ.
აიდა 25 ც. 25 კ. და 10 ც. 10 კ.
იდეალი 25 ც. 15 კ. და 10 ც. 6 კ.
არისტოკრატული 25 ც. 30 კ.
ვენერა 25 ც. 15 კ. და 10 კ. 6 კ.
გალოეა 25 ც. 15 კ. და 10 ც. 6 კ.
ხან-კეფი 25 ც. 30 კაპ.
სამაგალითო 25 ც. 25 კ. და 10 ც. 10 კ.
ფურორი 25 ც. 15 კ. და 10 ც. 6 კ.

თამბაქოს ФБР МАРКА ქარხანა
ამხ. „კომეტა"
1910 T-ВА
ბირ „КОМЕТА" ჩევთ
ТИФЛИСЪ
(0—304—0)

რენომე 10 ც. 5 კაპ.
შირაქი 10 ც. 3 კაპ
ზეფონ 20 ც. 5 კაპ.
აფიცერთა 25 ც. 15 კ. და 10 ც. 6 კ.
როსკოში 25 ც. 10 კ., 15 ც. 6 კ. და 10 ც. 4 კ.
ეხო 20 ც. 5 კაპ.
მინიონი 25 ც. 15 კ. და 10 ც. 6 კ.
ბორბა 20 ცალი 5 კ.
სვეტ 20 ც. 6 კაპ.

ფუთებში 1 მან. 36 კაპ. 10 მან.

Библиотека ИМЭЛ при ЦК ВКП(б)

Библиотека ИМЭЛ при ЦК ВКП(б)

1437

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

წელიწადი მეორე **სახალხო გაზეთი** წელიწადი მეორე

(კვირეულ სურათებიანი დამატებებით).

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50.	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. მ.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 48 (8)
ხუთშაბათს, 20 იანვარს, 1911 წ.
ნ. შ. დავითაშვილის საბენეფისო
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:
პირველად ახალი, პრემიით დაჯილდოვებული პიესა:
შიშველი,
პიესა 4 მოქმ. ა. ბატაილისა, თარგ, შ. დავითაშვილისა.
მონაწილეობენ: ქ-ნნი დავითაშვილი, ვიქტორელი, კარგარეთელი, ლეჟავა, ლოლუა, პიერრეტა, შოთაძე, ჩერქეზიშვილი. ჯავახიშვილი. ბ-ნნი: აბაშიძე, არადელი, გუნია, გამყრელიძე, გვარამძე, ჟივიძე, ზარდალიშვილი, მდივანი, მ. არაძე, მგალობლიშვილი, მამფორია, საფაროვი, ციციშვილი, შალიკაშვილი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასები ჩვეულებრივი.
რეჟისორი ვ. შალიკაშვილი. ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგადოებისა.
შემდეგი ბენეფისი ე. ჩერქეზიშვილისა, წარმოდგ. იქნება „ნიღილისტკა".

დაიბეჭდა და ისყიდება
სილ. ხუნდაძის მიერ შედგენილი
ქართული გრამატიკა
(გამოცემა მესამე), ფასი ყდით 60 კაპ. საწყობი იმყოფება ქუთაისში, თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში და ტფილისში. წ. კ. საზ. წიგნის მაღაზიაში. (7—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო
გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.
განსაკუთრებითი საშშობიარო განყოფილება.
ქვენიფხვის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 500.
სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. ამბულატორიულ ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:
ლომბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.
ვედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.
გურკო ვ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.
კარშინა ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
მაღალაშვილი ვ. ვ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ხ. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.
მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.
მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.
ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.
პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.
ხობთლევსკი ვ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 60 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსილიუმი, ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—372)

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.
ვ. **ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
შ. ა. **მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.
ა. ნ. **დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. **მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ა. **მოპოვი**—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.
ტერ-ნიკოღოსოვი დ. ვ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½ 12½ საათ.
ე. გ. **ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—ნ.—585)

ძმ. ა. და ა. მილოვების
სავაჭრო სახლის განყოფილება
(გოლოვინის პროსპ., კადეტთა კორპ. პირდაპირ)
ჩვეულებრივი, ყოველ-წლიური
დიდი იაფი ვაჭრობა
5 დღით 18-დან 23 იანვრამდე
დიდის ფას დაკლებით
სეზონიდან დარჩენილ საქონელზე,
იაფ-ფასიან ვაჭრობის დღეებში, 2½—4 საათამდე (სადილობისას) მაღაზია იკეტება ხოლმე. (1—44—1)

14 იანვარს მომხდარ მეეტლეთა სტაროსტისა და მის კანდიდატის

არჩევნები უკანონოდ ჩასთვალეს. ტვირთ-მზიდავ მეეტლეთა თხოვნით, 19 იანვრისათვის დანიშნული არჩევნები სტაროსტისა და მისის კანდიდატისა კვირა დღისათვის გადაიდო, როდესაც თავისუფალნი იქნებიან. ზემოხსენებულ მიზეზთა გამო, ქალაქის გამგეობა ახალ არჩევნებსა ჰნიშნავს: მეეტლეთა სტაროსტისა და მისის კანდიდატისას იანვრის 21-სათვის, ნაშუადღევის 3 საათ.; ხოლო ტვირთ-მზიდავ მეეტლეთა სტაროსტისა და მისის კანდიდატის არჩევნები კი—23 იანვარს, კვირა დღეს, დილის 10 საათზე, და სთხოვს ყველა ეტლისა და დროგების პატრონთ, მობრძანდნენ ქალაქის გამგეობის დარბაზში, აღნიშნულ დღეს, თავისის „ბლიახებითა" და სავალდებულო წიგნაკებით, ზემოხსენებულ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. (3—45—1)

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 433.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთ მიღება 9½-დან 5 ს.-დე.
ა. მ. **ახპახოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.
ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.
დ. **გრეიცი**—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.
მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ
ნოვიცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.
უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ დღე 4—5 საათ.
რიდელი—შინაგ. ავად. ყოველ დღე 3—4 საათ.
თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
ხუდოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირაუქმისა 11½—12½ საათ.
ხარაშ—ბავშვ., შინ. ყოველ დღე 12—1 საათ.
ვეხელოვოზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.
იოხელსონისა—ქალ. ავად., ორშაბათ, ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.
ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.
დ. ა. **მხიტარიანცი**—სიფ., ვენერ., დილის 9 საათ. 10 ნახევარ ს. ყ. დღე.
ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.
ხატისოვი ნ დ.—ბავ., ქალ., ყოველ დღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 12—1 ს.
წამლობა „606"-ით.
კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათოშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წესით. (100—ნ.—43)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მიხაილოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (ფ)

ექიმი ქ. ქუთაისში თ. ტყეშელაშვილი
იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ფირალოვის სახლი, (50—15—7

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—6.—28)

ქ. ქუთაისში
ქირურგიული და დედათა სნეულების
საავადმყოფო
საშშობიარო განყოფილებით ექიმის
ივ. ზოკერიასი
გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.
იქვე წამლობენ სიფილს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606". (30—405—19)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ. № 9. (უ)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. კოლოუბნის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი რ. დ. მაჭავარიანი
იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაქინოვის ქუჩა № 7. თ.—180—74

ექიმი შ. ა. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი ჯაფარიძე
ქ. ქუთაისში
ჰყავს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—58

ქართული საამხანაგო
„ხორო"
— 40 კაცისაგან შემდგარი —
რომელიც ასრულებს განსაკუთრებით
„ხალხურ სიმღერებს"
იღებს მონაწილეობას: კონცერტებზე, სასიმღ. პიესებში, წარმოდ. და სხ. ავჭალის მოედ. N 13. 4—6 ს.-დე. 3—1

ექიმი ი. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—307

ტფილისი, 18 იანვარი

ბუტანელი მას შემდეგ, რაც **მდგომარეობა.** ცხადი გახდა, რომ რეაქცია პროგრესიულად იზრდება და ამ ზრდას დასასრული არ უჩანს, ჭეშმარიტ რუსთა მოქმედებამ სულ სხვანაირი ხასიათი მიიღო. მათ რუსის ხალხის ეროვნულ ინტერესების დაცვა თავის მონოპოლიად გამოაცხადეს და ყველა, ვინც კი მათს მსგავსად არ აზროვნებდა, გამყიდველებად და მოღალატეებად ჰსახავდა. რეაქციის გაძლიერებასთან ერთად ძლიერდებოდა შავ-რაზმელთა გაბედულებაც. საქმე ხანდისხან იქამდისაც კი მიდიოდა, რომ მთავრობას მოქმედების გეგმას უკარნახებდნენ და ხანდისხან მუქარის მსგავს საყვედურებსაც უგზავნიდნენ.

ოქტომბრისტების დამოკიდებულება შავ-რაზმელებთან ყოველთვის ერთნაირი არ იყო ხოლმე. ეს გაურკვევლობა განსაკუთრებით შესამჩნევი ხდებოდა სათათბიროში, სადაც ოქტომბრისტები ხშირად უერთდებოდნენ მემარჯვენეებს ოპოზიციის საწინააღმდეგოთ. ოქტომბრისტების ეს გაურკვევლობა უპირველეს ყოვლისა იმით უნდა აიხსნას, რომ თვითონ მტკიცე კონსტიტუციონალისტები არ არიან. ოქტომბრისტებს სათათბიროში, რომ მტკიცე კონსტიტუციონური პოზიცია დაეჭირათ და დაპირებულ რეფორმათ განხორციელებისთვის ენერგიულად მოეკიდათ ხელი, მაშინ შავ-რაზმელებიც თავ-გასულობის დღევანდელ აპოგეამდე ველარ მივიდოდნენ. სათათბიროს ხელმძღვანელ პარტიის სისტემატიურმა ორ-ჭოფობამ ხელი შეუწყო შავ-რაზმელთა გათამამებას. ამ გათამამებას იმ წერტილამდე მიუღწევია, რომ დღეს ოქტომბრისტებისთვისაც აუტანელი გახდარა.

ოქტომბრისტების გაზეთში ვკითხულობთ მქუხარე წერილს, რომელიც შავ-რაზმელების წინააღმდეგაა მიმართული. ავტორი წერილისა უსაყვედურებს მთავრობას, რომელიც, არამც თუ ხელს უშლის შავ-რაზმელთა არასასურველ საქციელებს, არამედ ხშირად სრულიად უყურადღებოთა სტოვებს. „როდესაც მემარჯვენეთა ურიგო ქცევა ხულიგანობამდის მიდის, სწერს ოქტომბრისტების გაზეთი,—არავინ არა ცდილობს მათ ალაგმვას, ნებას აძლევენ და ცინონ საზოგადოების წმინდა გრძნობებს. იქნება გგონიათ, საზოგადოება ამას დაივიწყებს, აპატიებს? ხულიგანებს ვერ აჩერებს ახლად გათხრილი სამარეც კი—სადამდის მივიდა მათი ცინიზმი ტოლსტოის მიმართ, როგორ მოექცნენ კომისარჟევსკაიას, რომელსაც არაფერი საერთო არა ჰქონდა პოლიტიკასთან, ყველაფერი, რაც საზოგადოებისთვის ძვირფასია, იმით ეჯავრებათ, რადგანაც დაღუპვას უქადის, რადგანაც თვითეული ნაკადი სუფთა ჰაერისა აცამტვერებს მათ გამხრწნელ სულს".

გაზეთის სიტყვით, მთავრობა მისდევს ამ შავ-რაზმელებს და თან და თან შორდება საზოგადოებას. „მაგრამ საკმარისია ამ გზით სიარული. იგი ხომ ძალიან დააშორებს მთავრობას საზოგადოებისაგან. მაშინ საზოგადოება თვითონ დაეწევაო", დასძენს ოქტომბრისტების გაზეთი.

როგორც ხედავთ, თვით ოქტომბრისტებისთვისაც კი აუტანელი გახდარა დღევანდელი მდგომარეობა. თუ ეს ასეა, რა პირობებში უნდა იმყოფებოდნენ საზოგადოების ის ელემენტები, რომელთაც სურთ კონსტიტუციონური რეჟიმის დამყარება და პროგრესიულ რეფორმების განხორციელება? გონია, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს...

ქართული პრესა

ჩვენმა ხუთშაბათის მოწინავე წერილმა, რომელიც იმდენად გაზეთს „თემს" არ შეეხებოდა, რამდენადაც ჩვენს ცხოვრებაში დაბუდებულ საერთო ზნის დაფასებას, „თემის" ფურცლებზე ფრიად თავ-დაუჭერელი და ყოველგვარ ზომიერებას გადაჭარბებული სტრიქონები გამოიწვია. ლანძღვა-გინებასა და უტაქტობაში „თემს" არ გავყვებით და უსაფუძვლო კინკლაობით არ შევბღალავთ ჩვენი საგაზეთო ცხოვრების წარსულსა და აწმყოს. მაგრამ გაჩუმება მაინც არ შეგვიძლიან. ამიტომ ვეცდებით, სიდინჯით განვიხილოთ „ბრალდებანი" და დაუმტკიცოთ ჩვენი სიმართლე.

ხუთშაბათის მოწინავე წერილის აზრი იყო, დაგვემტკიცებინა, რა ფასი და ღირებულება შეიძლება ჰქონდეს შემთხვევით დაბადებულ გაზეთებსა და პერიოდულ გამოცემებს. მაშინაც ხაზ-გასმით აღვნიშნეთ და ეხლაც ვიმეორებთ, რომ ჩვენ პერიოდულ გამოცემათა წინააღმდეგნი არა ვართ.

> ჩვენ პერიოდულ გამოცემათა წინააღმდეგნი არა ვართ,—ვწერდით ხუთშაბათის მოწინავე წერილში,—მაგრამ ერთი გარემოება, ერთი სენი, რომელიც ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი ქართველ ინტელიგენტს, იძულებული გვხდის, ეჭვის თვალით შევხედოთ ყოველს ახალს გამოცემას. ჩვენ წინააღმდეგი არ ვიქნებით პერიოდულ გამოცემათა გამრავლებისა, ამ გამრავლებას ჩვენი ხალხის რეალური საჭიროებანი რომ მოითხოვდეს და თვით გამოცემანიც შედეგი რომ იყოს ამ საჭიროებათა შეგნებისა. საუბედუროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ პერიოდული გამოცემანი ჩვენში ძალიან ხშირად შემთხვევით ჩნდებიან, შემთხვევით და ვაი-ვაგლახით აჩანჩალებენ თავიანთ არსებობას და, მცირე ხნის უფერულ ცხოვრების შემდეგ, სულსა ლევენ.

თავის-თავად რომ ეს მოსაზრება სრული ჭეშმარიტებაა, ამაში ყველა დაგვეთანხმება. საკამათო მხოლოდ ის არის, ეკუთვნის თუ არა გაზეთი „თემი" გაზეთთა იმ კატეგორიას, რომელიც შემთხვევით ჩნდება და ამიტომ შემთხვევითი მიმართულებაც ეძლევა. ჩვენი მოწინავე წერილის მსჯელობის საგანს

განსაკუთრებით გაზეთი „თემი“ კი არ შეადგენდა, არამედ ყველა აწ არ არსებული და არსებული გამოცემანი; საზოგადოდ შემთხვევით დაბადებულ გაზეთებს ეკუთვნის ჩვენი წერილის ბოლო სიტყვებიც:

> ჩვენ სიამოვნებით მივეგებებით ყოველ ორგანოს, თუნდაც ჩვენს სრულს მოწინააღმდეგეს, ოღონდ ახალი რამ შეჰქონდეს ჩვენს ცხოვრებაში. **ასეთი გაზეთები** კი, რანაირიც დღეს არსებობენ ჩვენ უპრინციპობისა და დაქსაქსულობის საუკეთესო ნიმუშად მიგვაჩნია და ამიტომ ვერც ვუსურვებთ დღეგრძელობას.

ჩვენ არც ზნეობრივი უფლება გვაქვს, არც საშუალება და არც სურვილი ვისმეს დაუშალოთ გაზეთის გამოცემა, მაგრამ შეგნებულად კი არ შეგვიძლიან **ვუსურვოთ** დღე-გრძელობა ისეთს გაზეთს, რანაირიც „სინათლეა“, ვერ შეგვიძლიან, რადგანაც ასეთი გაზეთები ჩვენ არა **სასურველ** მოვლენად მიგვაჩნია. გაზეთი „თემი“ გვიჯავრდება „სინათლეს“ რად შემადარეთ!

უსაფუძვლო საყვედურია! ჩვენ „თემი“ „სინათლეს“ არ დაგვიდარებია, და თუ ჩვენი მოსაზრების დასამტკიცებლად „თემის“ მოწინავე წერილით ვისარგებლეთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი „სინათლეზე“ უფრო სერიოზულ გაზეთად მიგვაჩნია, და ამიტომ მასთან კამათიც დროს უბრალო დაკარგვა არ იქნება მიუხედავად ამისა, „თემი“ მაინც ერთს იმ გაზეთაგანს ვაკუთვნებთ, რომელნიც შემთხვევით იბადებიან და მიმართულებაც შემთხვევითი ეძლევათ. საბუთი გნებავთ? საბუთები „თემის“ პირველ ნომრის მეთაურში მოძებნეთ. „თემს“ საჭიროდ მიაჩნია „მედგარი ბრძოლა შემბორკველ პირებთან და სწორი უტყუარი მსჯელობა ყველა ეროვნულ საკითხებზე“, გვპირდება „მშრომელ ხალხის მდგომარეობის გათვალისწინებას“, კავკასიის ერთა შორის სოლიდარობის დამყარებას; და ეს განსაკუთრებით თავისთვის მიაჩნია შესაძლებლად, რადგანაც „ჩვეულებისამებრ (?) პარტიათა გარეშე იმყოფება“. თვითეული ამ საკითხთაგანი თავის-თავად იმდენად საყურადღებოა, რომ სწორედ ფართედ საჭიროებს მის დაყენებას; ვინც მიზნად იმ საკითხების გადაწყვეტას ისახავს, გვერდს ვერ აუქცევს პოლიტიკურს საკითხების ფართოდ დაყენებასა და განხილვას. „თემს“ კი შესაძლებლად მიაჩნია ეს, და ჩვენს სწორედ ამას დავარქვით „უპრინციპობის გაპრინციპება“.

„თემი“ გვეუბნება, ჩვენ კულტურულ ცხოვრებას მივაქცევთ უმთავრეს ყურადღებასაო.

> „ის (ე. ი. ხალხი) მიგვაჩნია ჩვენი ერის კულტურულად განახლების საფუძვლად. მასზე ვამყარებთ ჩვენს იმედებს, ჩვენს მომავალს. მასში უნდა გავავრცელოთ სწავლა-განათლება, შევათვისებინოთ კულტურული საშუალებანი მძიმე ეკონომიურს პირობებთან ბრძოლაში და საზოგადოდ შეუწყოთ ხელი მის წინ-სვლასა და გონებრივს აყვავებას“.

კულტურული მუშაობა პოლიტიკის გარეშე,—ეს ახალი რამ არ არის. დიდი ხანია ეს პრინციპი წამოყენებულ იქმნა, მაგრამ სინამდვილემ დაარღვია ილიუზიები და ცხად-ჰყო, რომ, ვისაც კულტურულ მუშაობის გაცხოველება ჰსურს, იმ პოლიტიკურს პირობებსაც უნდა მიაქციოს ყურადღება, რომლებშიაც ეს კულტურული მუშაობა სწარმოებს. ამ შემთხვევებშიც პოლიტიკურ საკითხების ფართოდ დაყენება აუცილებელი ხდება.

რაც შეიძლება შორს პოლიტიკისაგან,—აი დამახასიათებელი სულიერი განწყობილება ჩვენი დროისა, და ეს განწყობილება, არ ვიცით ნებსით თუ უნებლიეთ, „თემი“-ს მოწინავე წერილშიაც აღიბეჭდა თუ საქმეს **არსებითად** შევხედავთ, ი. პ. როსტომაშვილის „სინათლე“-შიც ამაზე მეტი არაფერი ყოფილა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ბ-ნ როსტომაშვილის გაზეთში აზრი უფრო მოუხეშავად არის გამოთქმული.

ამით ვათავებთ ჩვენს პასუხს. წერილის სხვა ნაწილებზე ლაპარაკი ჩვენ მეტად მიგვაჩნია. დაე, თვით მკითხველმა საზოგადოებამ დასდოს მსჯავრი იმას, თუ რამდენად საკადრისია პრინციპიალურს წერილზე ისეთის გესლითა და ბოღმით სავსე პასუხის გაცემა.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, კანონ-პროექტი ბეჭდვითი საქმის შესახებ უკვე მზად ყოფილა და მალე სათათბიროშიაც იქმნება შეტანილი. ზოგიერთს ცნობებს ამის შესახებ იძლევა რეაქციონური „ზემშჩინა“. „რუსკ. ვედ.“ სიტყვით, „ზემშჩინა“ კანონ-პროექტის დაგვიანებას სინოდს აწერს. შინაგან საქმეთა სამინისტროს სინოდისთვის გადაუცია კანონ-პროექტი იმის გამოსარკვევად, თუ რანაირი ზომები უნდა იქმნას მიღებული იმ შემთხვევაში, თუ „თავისუფალ“ პრესაში სარწმუნოებრივს საკითხების შესახებ არა სასურველი აზრები გამოითქვა. ამის გარდა, კანონ-პროექტის სხვა ნაწილების შესახებ, „ზემშჩინა“, „რუსკ. ვედ.“-ს სიტყვით, შემდეგს ცნობებს გვაწვდის:

> „პროექტის უმთავრესი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ იგი „სრულიად უყურადღებოდა სტოვებს ეხლანდელ ფიქტიურს რედაქტორებს“. მაგრამ ბოლოსა სჩანს, რომ მთელი პასუხისმგებლობა ედება არა რედაქტორებს, არამედ გამომცემლებს. თუ გაზეთს დავუჯერებთ, პროექტი სრულიად უყურადღებოდ სტოვებს არა მარტო ფიქტიურ რედაქტორებს, არამედ სრულიად სპობს პასუხისმგებელ რედაქტორთა ინსტიტუტს. აქედან ის უნდა დავასკვნათ, რომ პასუხის გება გამომცემლებზე გადავა, მაგრამ, არც ეს არის სწორი. პროექტის ავტორს ეშინია, ვაი თუ გამომცემლებიც ფიქტიური აღმოჩნდენო და ამიტომ ზოგიერთ შემთხვევაში, ე. ი. მაშინ, როდესაც გამომცემლები ფიქტიურია, პასუხისმგებლობა მესტამბეზე გადააქვს.

აი, ასეთი ყოფილა თუ კი „ზემშჩინას“ დავუჯერებთ, ახალი „თავისუფლება ბეჭდვითი სიტყვისა“.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

საზღვარ-გარეთ.

16—17 იანვარი.

თეირანი. სპარსეთის მთავრობამ რუსეთის საელჩოს 2543 თუმანი გადასცა 1910 წელ. შაჰის მასწავლებელ სმირნოვის ბინის გაძარცვის საფასურად. ხოლო რუსეთის კონსულის ქარავანზე თავდასხმისათვის კი—14720 თუმანი, აქედან 10000 თუმანი ამ თავდაცემის დროს მოკლულ ყაზახის ოჯახობას მიეცემა, 3000 მან. დაჭრილ ყაზახებს. ამავე დროს სპარსეთის მთავრობამ ინგლისის საელჩოს 3000 თუმანი გადასცა 1910 წელს დაჭრილ ინგლისის კონსულის მცველების სასარგებლოდ.

ბერლინი. კეფალონიიდან (საბერძნეთი) იუწყებიან მცხოვრებნი ლალების გადახდაზე უარს ამბობენ. ხალხს ჯართან შეტაკება მოუხდა.

ჰააგა. ნიდერლანდის მთავრობამ გადასწყვიტა ზღვის სანაპიროების გამაგრებაზე დაწვრილებითი თათბირი არ იქონიოს.

ლონდონი. ლონდონის ნავთსადგურის გაფართოების გეგმა მოიწონეს.

ნიუ-იორკი. ქალაქი იორი (გონდურასში) მეამბოხეებმა დაიჭირეს.

ბერლინი. ჩინეთში მყოფი გერმანიის ელჩი გრაფი რექსი ტოკიოში გადაიყვანეს.

ბერლინი. რეიხსტაგი. ელზას-ლორენის კონსტიტუციის განხილვის დროს, საიმპერიო კანცლერმა განაცხადა: ელზას-ლორენის პრუსიასთან ან გერმანიის სხვა სახელმწიფოსთან შეერთება ელზას-ლორენის პოლიტიკა არ შეეფერებაო.

სოფია. პრესსა ოსმალეთის მოთხოვნილებათა წინააღმდეგია და მთავრობის საქციელს ემადლიერება. საბაჟო ომი ოსმალეთისათვის უფრო სახიფათოა, ვიდრე ბულგარეთისაო.

ურმია. მეჯლისმა და თავრიზის ენჯუმენმა პრინც იმამ-ყულის ტბით სარგებლობის უფლება ჩამოართვა, რადგანაც ეს მრეწველობა—აღებ-მიცემობის საქმეს აფერხებსო.

თეირანი. მეორე კვირაა სთოვს. ენზელ-თეირანის შარა გზაზე მიმოსვლა შესწყდა. უღელ-ტეხილზე ფოსტა აღარ დადის. არა-ჩვეულებრივი ყინვებია.

სოფია. ფინანსთა მინისტრმა საბაჟოებს ოსმალეთ-ბულგარეთის საბაჟო ხელ-შეკრულობის გაუქმება აუწყა.

პარიზი. პალატამ საერთო საშრომო ბირჟის საკითხი განიხილა. ბრიანმა ნდობის გამოცხადება მოითხოვა 298 ხმის უმეტესობით, 73 ხმის წინააღმდეგ, რადიკალ გრონდიდიეს ფორმულა მიიღეს. ფორმულა მთავრობის აზრს ემხრობა და რწმენას გამოსთქვამს, რომ მთავრობა სინდიკატების თავისუფალი განვითარების პროფესიონალურ კავშირებს, ხელს შეუწყობს.

ურმია. ერთმა წარჩინებულმა პირმა განაცხადა: ახალგაზდა ოსმალებმა სპარსელების გულის მოგება განიზრახეს, რათა ამ გზით ოსმალეთი დაიახლოვონო.

პარიზი. იზვოლსკის პატივ-საცემად ბანკეტი გამართეს. იზვოლსკიმ სთქვა, რომ რუსეთ-საფრანგეთის შორის ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინება ეკონომიურ მნიშვნელობის გარდა, მშვიდობიანობასაც დაიცავსო. პიშონმა და დიუპიუიმ რუსეთის სავაჭრო პალატას ენერგიული დახმარება აღუთქვეს.

ბერლინი. ელზას-ლორენის კონსტიტუციის პროექტი რეიხსტაგმა კომისიას გადასცა.

რუსეთი

მოსკოვი. შეერთებულ ბანკიდან უცნობებმა ყალბი საბუთით 9360 მან. გაიტანა.

სარატოვი. სახელმწიფო სათათბიროს წევრად ინჟენერი დობროვოლსკი (კადეტი) აირჩიეს.

პეტერბურგი. სამხედრო მინისტრს სახელმწიფო სათათბიროში სამხედრო ბეგრის მოსახდელად ახალი კანონ-პროექტი შეაქვს.

პეტერბურგი. ხელოსანთა კრებამ სასურველად სცნო: სახელმწიფო ბანკიდან ხელოსანთა სესხი ეძლეოდეთ, კოოპერატიული ამხანაგობანი გავრცელდეს, ისეთი კანონი შემუშავდეს, რომ ხელოსანთა ამხანაგობას სესხის გაცემის უფლება მიენიჭოს.

პეტერბურგი. ხელოსანთა კრებამ სასურველად სცნო, საზღვარგარეთიდან შემოტანილ საქონლის ნიმუშებზე ბაჟი ძლიერ შემცირდეს.

ახალი ამბები

ტფილისი

◆ **ქართულ-სომხურ გაზეთების რიცხვი 1910 წელში.** 1910 წელს ქართული დრო-გამოშვებითი გამოცემანი იყო: ტფილისში-23, ქუთაისში-2, ყვირილაში-1, სულ 26. სომხური: ტფილისში-15, ეჩმიაძინში 1, ალექსანდრეპოლში-2, სულ-18.

◆ **კავკასიის უნივერსიტეტი.** „ტფილისის საკრებულო“-ს მამასახლისთა საბჭომ დაადგინა: საკრებულოს თანხიდან 1000 მან. გადასდის კავკასიის უნივერსიტეტის სასარგებლოდ.

◆ **სამეურნეო კურსები.** კავკასიის მიწად-მოწყობისა და მიწადმოქმედების სამმართველოს მთავარ გამგეს ბ-ნს არხიპოვს განუზრახავს, ამიერ კავკასიის სხვა და სხვა ადგილას სამეურნეო კურსები დაარსოს. ამ აზრით შეეკითხა ბოტანიკურ ბაღის გამგეს ბ-ნ როლლოვს, რომელ ადგილებშია საჭიროდ ასეთ კურსების გახსნა, რომელ-საგნებზე უნდა მოეწყოს ლექციები. ლექტორებს რა ჯილდო მიეცეთ და რა დაჯდება ამ კურსების მთელი მოწყობაო. ამ კითხვებზე პასუხის მიღებისათანავე ბ-ნი არხიპოვი მცოდნე პირთა საგანგებო კრებას მოიწვევს.

◆ **ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრეში.** კვირას, 16 იანვარს, შეერთებული კრება ჰქონდათ ამ წრის წევრებს და სცენის მოყვარეებს. იმსჯელეს წარმოდგენების დადგმის საქმის გაუმჯობესების თაობაზე. კრება რაიმე გადაწყვეტილს აზრს ვერ დაადგა და ამ საგნის გამო დაწვრილებით მოხსენების შესამუშავებლად არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, რომელშიაც შედიან: ქ-ნნი—ციმაკურიძე, ანკარა და ბ-ნნი—გოცირიძე, ხახანაშვილი, და ჰელიძე. კომისიამ თავისი მოხსენება კრებას უნდა წარუდგინოს არა უგვიანეს 10 დღისა.

◆ **თავად-აზნაურთა კრება.** დეპუტატთა საკრებულომ შუამდგომლობა აღძრა, რათა ნება მიეცეს მოიწვიოს 23 იანვარს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება კახეთის რკინის გზის საქმეთა გამო.

◆ **ახალი სამეურნეო სასწავლებელი.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა სასარგებლოდ იცნო, სოხუმის რეალური სასწავლებელი გადაკეთებულ იქნეს რვაკლასიან საშუალო სამეურნეო და სატეხნიკო სასწავლებლად. პროექტს უკვე ადგენენ.

◆ **ქალაქის გამგეობის წევრის არჩევა.** ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანთა შორის აღიძრა აზრი რომ გამგეობის წევრის არჩევა გადადოს ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევამდე.

◆ **ტფ. ქალაქის ელექტრონული სადგური.** ქალაქის გამგეობამ უკვე დასდო ხელშეკრულობა ნიკოლაევის ქარხანასთან, რომელმაც ტფილისში ელექტრონის სადგური 168.000 მან. უნდა მოაწყოს.

◆ **უხვი შეწირულება.** მოსკოვში მცხოვრებმა მდიდარმა სომეხმა სარქის ჯანუმიანცმა 200,000 მანეთი გადასდო ეჩმიაძინში სასკოლო ფონდის დასაარსებლად.

◆ **ოლივერ უორდროპის ჩამოსვლა.** ტაშკენტიდან ტფილისში დაბრუნდა ცნობილი ინგლისელი მოღვაწე ოლივერ უორდროპი, რომელსაც თავის განსვენებულ დასთან ერთად ბევრი ღვაწლი მიუძღვის ქართველ ლიტერატურის წინაშე. ბ-ნი უორდროპი 16 იანვარს ვალ. გუნიას საბენეფისო წარმოდგენას დაესწრო.

◆ **ტრამვაი.** ტფ. ტრამვაის დირექციამ გადასწყვიტა, ორი ახალი გზა გაიყვანოს: ერთი რკინის გზის სადგურიდან ნაძალადევამდე, მეორე გაყვანილი იქმნება იარმუკიდან, მუხრანის ხიდით, რიყემდე. მუშაობას შეუდგებიან როგორც თბილი ამინ-

კიდევ ბ. ჯანაშვილის ახალ ნაშრომის გამო

ჩვენს წერილში ბ. ჯანაშვილის ახალ ნაშრომის გამო, ჩვენ სხვათა შორის შევეხეთ იმ ოინებს, რომლებსაც ხმარობს ჩვენი მკვლევარი სხვისი შრომის გასაბათილებლად.

„ბ. ჯანაშვილი, ვწერდით ჩვენ, ძლიან გაჯავრებულია ჩვენზე, და თვით რომ ვერაფერს ხდება, ჩვენი „მხცოვანი მკვლევარი“ გულს იჯერებს პრ. მარრის მიერ ჩვენს „ნაშრომში“ ნაჩვენები შეცდომების თავისებურად გადასხვაფერებით და ამას სჩადის იმ მიზნით, რომ დაარწმუნოს მკითხველი, თუ მას, ე. ი. ბ. ჯანაშვილს რამდენი შეცდომა აღმოუჩენია ი. აბულაძის ნაშრომში, იხ. ნაშრომი, (იხ. ნაშრომი, № 3, გვ. 35, სტრ. 28,—სირას, სალას, პაშტასა და სხვათა შესახებ); აქ გარდა ჯანაშვილისებურის სიბრძნისა, ყველა შესწორება პროფ. მარრის კალამს ეკუთვნის მეთქი.“ ავტორის ამგვარ მოქმედებას, ჩვენის აზრით, შესაფერი სახელიც ვუწოდეთ.

თავის საპასუხო წერილში ბ. ჯანაშვილი, რასაკვირველია, ყველა ამას სიცრუედ სთვლის და დაასკვნის:

„ნაშრომში“ ჩვენ ყველა და ყოველივე თავ-თავის ადგილას აგვინუსხავს არა თაღლითობით, არამედ მიუდგომლად, ისევე, როგორც ყოველთვის: ვიწრო მამულიშვილობის უკუგდებით, მარტო ალალის ჭეშმარიტების მიგნების სურვილით“-ო.

ამგვარის პასუხის შემდეგ ჩვენ იძულებული ვართ მივმართოთ თვით ბ. ჯანაშვილის ნაშრომს და იქიდან გავაცნოთ მსურველს ის საბუთები, რომლებითაც ბ. ჯანაშვილი სცდილობს სხვისი შრომის გაბათილებას. მისი ნაშრომიდან მკითხველი აშკარად დაინახავს, რომ ჩვენს ნათქვამს არც ისე მეტად მოკლე ფეხები აქვს, როგორც ეს „ნაშრომის“ ავტორსა ჰგონია (იხ. „ნაშრომი“ № 3, გვ. 7, სტრ. 18).

აქ ბ. ჯანაშვილი ეხება სიტყვა „პაშტას“ და იმ მიზნით, რომ უარჰყოს პრ. მარრის აზრი, რომლითაც პაშტა ბევრს აღნიშნავს და არა ცოტას, (იხ. Т. Р XII, გვ. 26, შენიშვ. 5), მოჰყავს შემდეგი მაგალითები ცოცხალი ინგილოური ქართულიდან:

> იმი მოსვლამდინ პაშტა ხან გაუდა,
> პაშტა თუთრ ჰქონდაყ.
> პაშტა ხანს ჩონსა დარჩნენ; პაშტა გზაჲ გოდარით.

ამ მაგალითებში ხსენებულ პაშტას ბ. ჯანაშვილი ყველგან სთარგმნის რუსული სიტყვით **достаточно**, თუმცა იქვე მის გადმოსაცემად ნახმარი აქვს სიტყვა **значительный** *) (ალბად **значительно много!**), რომელიც ბოლოს და ბოლოს აზრით იგივე გამოდის, რაც **много**. საკვირველია, რად დასჭირდა ჩვენს მხცოვან მკვლევარს ამგვარი ამაოცდა მაინც და მაინც გადმოგვცეს სიტყვა პაშტა სიტყვით **достаточный?!..** ეს მით უფრო გასაოცარია რომ ამ შემთხვევაში პაშტა ყველგან ხმარებულია მართლაც **значительный**-ს ან **довольно много**-ს აზრით. პაშტა ხან გაუდა—იმერულად რომ ვსთქვათ, იქნება კაი კუთხე დრო, ან კარგი ძალი დრო გავიდა, რაც რუსულად გადაითარგმნება: **Прошло довольно много времени,** ან როგორც ბ. ჯანაშვილსაც წასცდა: **Значительное время прошло.** ესევე ითქმის შესახებ სიტყვებისა: პაშტა თუთრ ჰქონდაყ“, რომელიც ნიშნავს: **у нихъ было довольно много или значительная сумма денегъ** და სხვა.

მაშასადამე, პრ. მარრი რომ გვაუწყებს: „იმერხეულად პაშტა ბევრს ნიშნავსო, ბევრად უფრო სარწმუნოა, ვიდრე მხცოვანის მკვლევარის ნაბრძანები. რაც შეეხება ბ. ჯანაშვილის დაჟინებით ლაპარაკს, რომ პაშტა ნიშნავს საკმაოსაც, ამის საწინააღმდეგო ჩვენ არა გვაქვს რა, რაც ბ. ჯანაშვილსაც ძალიან კარგად მოეხსენება. ხოლო არ შეგვიძლია ყურადღება არ მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ იგი ამ შემთხვევაში ნამეტანი დიდ მნიშვნელობას აძლევს იმას, თუ როგორ იხმარება ინგილოურად ეს თუ ის სიტყვა. მაგ. პაშტა თუ ინგილოურად საკმაოა, ეს ბ. ჯანაშვილისთვისაც საკმაო საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ პაშტა ყველგან და ყოველთვის საკმაოს ნიშნავს; ნამდვილად ეს ასე როდია. როგორც ჩვენი ხსენებული წერილის შენიშვნიდან სჩანს, სპარსული ბესი იხმარება. როგორც ბევრის ისე საკმაოს აზრითაც. ბ. ჯანაშვილი კი, რომელიც სპარსულს ვერც კი იცნობს, სცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ბესი განჯ ნიშნავს საკმაო განძს და არასოდეს ბევრ განძს. ტექსტის მცირეოდენი ჩაკვირვებაც საკმაოა იმის დასანახავად, რომ ამ შემთხვევაში „პაშტასა“ ბევრის და არა საკმაოს აზრით არის ხმარებული:

„დიდსა ჭირსა ნახავ და პაშტასა საჭურჭლესაც უსაქმოდ გაანქრევო“, აბა რა საჭიროა აქ საკმაო-თი გადმოცემა სიტყვის პაშტასა, როდესაც ეს ტექსტს სრულებით არ უხდება, და სპარსული ტექსტიც ადასტურებს მის მნიშვნელობას სიტყვით ბესი.

ჩვენ ყოველს შემთხვევაში უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია ძნელი სიტყვის განმარტების დროს ძველი სამწერლო ძეგლი, რადგან ძნელი სიტყვა ძნელი იმიტომ გახლავს, რომ ცხოველის სასაუბრო ენიდან ხმარებაში გამოსულა. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ის ფაქტი, რომელსაც გვაწვდის ბ. თ. რაზიკაშვილი თავის „მცირე შენიშვნა“-ში, რომელიც მან დასტამბა სახ. გაზ. ფურცლებზე, იხ. № 195 და რომელიც შეეხება სწორედ ჩვენს წერილში აღძრულ საკითხს.

ბ. თ. რაზიკაშვილი ბრძანებს:

„თუ ხალხის შემწეობით, როგორ შეიძლება აღვადგინოთ სიტყვის მნიშვნელობა, მოვიყვან ერთს მაგალითს.

ისტორიაში იხმარება ნაჭარმაგევი, დღევანდელი კარალეთი 300 კომლიანი სოფელი... შუასოფელში ამართულია ერთი დიდი გორა, ამ გორას არწივის ბუდესავით ზემოდან მოჰქცევია ერისთვის სასახლე, რომელიც მთელ ქართლის ველს ხელის გულივით დასცქერის. ძველად უეჭველია, ამავე გორაზე იყო გამოკიმული მეფის სასახლეც, როგორც თამარის დროს, ისე წინად. ამ 15 წლის წინად დავესწარ ნაჭარმაგევის ეკლესიის ბერიკაცებს, ვინც ამ საყდრისა და „ნაჭარმაგევისა“ რამე იცოდა.

ამ ეკლესიის მნათემ გოგია გერმანაშვილმა მიამბო: აქ ქალაქი ყოფილა, მეფეებს უცხოვრიათ და რადგან დაბლობი ადგილი ყოფილა, ამიტომ ხალხისთვის მოუზიდინებიათ ქვა, რიყე, მიწა და ეს გორა დაუდგამთო. რადგან ძალიან დასჭირებიათ და დიდხანსაც მოსდომიან, ამიტომ დაურქმევიათ „ნაჭირნაამაგევიო“, მერე გადაკეთებულა ნაჭარმაგევადაო“.

პირიქით, პატივცემულის თ. რაზიკაშვილის შეკრებილი ცნობა ნაჭარმაგევის შესახებ უტყუარი ფაქტია იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ იცვლის აზრს ან კარგავს თავის ჭეშმარიტ მნიშვნელობას სიტყვა, რომელიც ცოცხალ ხალხურ ენას დავიწყებია. ეს ფაქტი მით უფრო საყურადღებოა, რომ სხვა ადგილას იგივე ჭარმაგი სულ სხვა აზრით იხმარება, და მასთან ისეთის აზრით, რომელსაც ამართლებს მისი თავდაპირველი მნიშვნელობა.

მაგ. აი რასა გვწერს თელავის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი პატივცემული ალ. ბარნოვი ერთს თავის წერილში.

„სიტყვა ჭარმაგი ბევრჯელ გამიგონია. ამ სიტყვას ხმარობენ, როდესაც უნდათ გამოსთქვან ის აზრი, რომ კაცისთვის წლოვანებას, თუ რამე დარდს ვერ დაუმჩნევია თავისი დაღი. ხუთიოდე წლისა ვიქნებოდი, მამა ჩემი ერწოდან კოდაზე წავიდა პაპას სანახავად. როდესაც დაბრუნდა, დედამ ჰკითხა: როგორ რამდე მოსძლებს ჩემი მამამთილი, ძალიან ხომ არ მოხუცებულაო?—რა დროს იმისი მოხუცებაა!—ჩემზე უფრო ჭარმაგად არისო, უპასუხა მამა ჩემმა“.

ესეც მეორე შემთხვევა იმის შესახებ, თუ როგორ ჰკარგავს ხალხის ფანტაზიაში ეს თუ ის იშვიათი სიტყვა თავის თავდაპირველ მნიშვნელობას. ეს კია რომ მეორე შემთხვევაში სიტყვა ჭარმაგი უფრო ახლოა მის ნამდვილ მნიშვნელობაზე, ე. ი. ის ხატავს ჭაღარა შერთულსა და მხნეს, *) ჭირსა და

---

*) იხ. „ნაშრომი“ N 3, გვ. 8, სტრ. 4.

*) აქ საჭიროდ ვრაცხ შევნიშნო, რომ პრ. მარრის აზრი სიტყვა ჭარმაგის შესახებ, ვითომც значеніе доблестный (მხნე), усмотрѣнное въ немъ еще Теймуразомъ есть плодъ досужей догадки, არ მართლდება ბ. ალ. ბარნოვის მაგალითი გვიჩვენებს, რომ თეიმურაზს დიდი საბუთი ქონდა ასე მაინც აეხსნა სიტყვა ჭარმაგოსანი, რადგან სპარსული მნიშვნელობა არ იცოდა, მით უფრო რომ დღეს სპარსელებიც აღარ ხმარობენ ამ სიტყვას, იხ. Витязь, 64 გვ. 12, пр. 4.

დები დადგება. გზა მზად იქნება 1 ივლისამდე.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** ამ თვის ბოლო რიცხვებში მოწვეულ იქმნება ტფილისის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების წევრთა საერთო კრება, რომელმაც უნდა განიხილოს საზოგადოების მოქმედების ანგარიში უკანასკნელ სამის წლის განმავლობაში. კრებაზე თათბირი იქმნება აგრეთვე საზოგადოების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე.

◆ **შუამდგომლობა.** ტფ. ქალაქის მომავალ წლის ხარჯთ აღრიცხვა, როგორც ვიცით, ჯერ დამტკიცებული არ არის, ქალაქს კი ამ ჟამად ბევრი საჩქარო ხარჯი აქვს გასასტუმრებელი. ამიტომ ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა, ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებას აღარ მოუცადოს და ეს ხარჯები ახლავ გაისტუმროს ისე კი, რომ შარშანდელ ხარჯთ აღრიცხვით იხელმძღვანელოს. შესაფერი შუამდგომლობა გუბერნატორის წინაშე უკვე აღძრა.

◆ **ჯარის შესანახი ხარჯი.** ამას წინად ტფ. ქალაქის საბჭომ დაადგინა: აღძრას შუამდგომლობა, რათა ქალაქს წელს ჯარის შესანახი ხარჯი არ გადახდეს, რადგან ქალაქის ნივთიერი მდგომარეობა უნუგეშოაო. გუშინ-წინ გუბერნატორმა ქალაქის მოურავს ა. ი. ხატისოვს მისწერა, შეაჩერეთ ამ დადგენილების სისრულეში მოყვანაო.

◆ **დაზარალებულთა სასარგებლოდ.** კავკასიის ნამესტნიკის სასახლესთან დაარსდგა კომიტეტი, რომელიც შეწირულებას მიიღებს სემირეჩიის მხარეში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

◆ **ლექცია.** 16 იანვარს სახალხო სახლში ექიმმა ალაჯანოვმა ლექცია წაიკითხა შემდეგ თემაზე: „ქორწინება და ჯანმრთელობა“. ლექციამ ხალხი საკმარისად მიიზიდა.

◆ **„მსხვერპლი“.** 16 იანვარს სახალხო სახლში ბ-ნ გედევანიშვილის პიესა „მსხვერპლი“ წარმოადგინეს. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და დიდძალი ხალხიც მიიზიდა.

◆ **სიძე-სიმამრის ჩხუბი.** 8 იანვარს, სოფელ ჯებოტში (თიანეთის მაზრა) მცხოვრებ ტუხა სადირიშვილთან საღამო ხანს მისულა მისი სიძე, სოფელ ახმეტის მცხოვრები, იოსებ ლოლაძე, რომელსაც რამდენიმე თვეა, რაც ცოლი გამოქცეული ჰყავს. ღამე, ლაპარაკის დროს, სიძეს და მოყვარეს ჩხუბი მოჰსვლიათ. სიმამრი თავისი ცოლშვილით მივარდნია სიძეს და ურმის ფერსოთი უწყალოდ უცემნიათ, სიძეს თავის მხრივ დაუჭრია ხანჯლით სიმამრი და სიდედრი. სამივენი ძლიერ ავად არიან.

◆ **პროვიზორთა უფლება.** უმაღლესად დამტკიცდა განმარტება, რომლითაც პროვიზორებს უმაღლეს სასწავლებლებში კურს დამთავრებულთა უფლება ეძლევათ.

◆ **კათოლიკოსის არჩევა.** „ზემ“ სიტყვით, მთავრობა ამ ჟამად ბევრს ზრუნავს სრულიად სომეხთა კათოლიკოსის არჩევისათვის. უმაღლეს სფერებში იმ აზრისანი არიან, რომ იმ პირმა, რომელსაც ამ თანამდებობაზე კანდიდატად წამოაყენებენ, აუცილებლად უნდა იცოდეს რუსული ენა, რადგან პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ დიდად მოუხერხებელია, როდესაც სომეხთა ეკლესიის უმაღლესმა მმართველმა სახელმწიფო ენა არ იცისო.

◆ **მისალოცი დეპეშა.** ნინოობა დღეს რედაქციამ მოსკოვიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: „დღეს თვალი ქართველებისა მიპყრობილია ძვირფას სამშობლოსკენ, სადაც სიონის კედელთა შორის, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მოწამეა ქართველთა ბრძოლისა თავის არსებობისთვის, პატივს სცემენ ხსოვნას განმანათლებელ ნინოსას. ქართველთა გული აღსავსეა საქართველოს კეთილდღეობისა და აყვავების სურვილით. ამავ სურვილებით სალამს ვძღვნით სამშობლოს და ქართველს საზოგადოებას. თავჯდომარე მოსკოვის ქართველ საზოგადოებისა სუმბათაშვილი, თავჯდომარის ამხანაგი თულაშვილი“.

◆ **16 იანვარს ბებუთოვის ქუჩაზე ჩვრებში გახვეული ბავშვის გვამი იპოვეს.**

◆ **16 იანვარს ტფილისში 18 უპასპორტო შეიპყრეს.**

◆ **[illegible] დაბრუნდა ტფილისში ოლქის სასამართლოს სესია, რომელიც სურამში იყო წასული რამდენისამე სისხლის სამართლის საქმის გასარჩევად.**

—

შეცდომის გასწორება. გუშინ წინდელს გოგებაშვილის წერილში: „არჩევნად ბძანდებოდეთ“ შემდეგი შეცდომებია: მეხუთე სვეტზე, მეექვსე სტრიქონში დაბეჭდილია: ჩაჭერის საქართველოს ქართულის მეცნიერებისას. უნდა ყოფილიყო: ჩაჭერის საძირკველს ქართულის მეცნიერებისას. მეხუთე სვეტზე 25 სტრიქონში დასტამბულია: შეძლება ნებას არ აძლევს, უნდა ყოფილიყო: შეძლება ნებას აძლევს. წერილს ბოლოდან მე-5 სტრიქ. სწერია „მშობლიურ ლიტერსა“ უნდა იყოს „მშობლიურ ლიტერატურში“.

ქუთაისი

კიდევ რუსული გაზეთი.

შარშანდელ გაზაფხულს აქედ ქუთაისის რუსული გაზეთი „ქუთაისის ლისტოკი“ გამოდიოდა, რომელიც თურმე იბეჭდებოდა 1,000 ცალი და განცხადებათა წყალობით ხარჯს უძლვოდა. 1 იანვრის მერე, გაზეთის გამოცემა მოისპო და ამ დღეებში მის მაგივრად გ. დ. პოლმანის რედაქტორობითა და გამომცემლობით გამოვიდა ყოველ დღიური რუსული გაზეთი „კუტაისკაია ჟიზნ“.

ინტელიგენციის ერთ ჯგუფის განზრახვა, რომ ქუთაისში ქართული ყოველ-დღიური გაზეთი დაარსებულიყო ვერ განხორციელდა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოხერხებულიყო ეს საქმე, ქუთათური ვაჭრები ისეთის ხალისით არ დაბეჭდავდნენ თავის განცხადებას ამ გაზეთში, როგორც განსვენებულ „ქუთაისის ლისტოკში“ ჰბეჭდავდნენ. ვაჭრებს რა დავემდუროთ, როცა პატივცემული ექიმები ერთმანერთს ეჯიბრებოდნენ რუსულ გაზეთებში და განცხადების ბეჭდავდნენ.

საქველმოქმედო საღამო.

22 იანვარს ქუთაისის საკრებულოში გაიმართება საქველმოქმედო საღამო ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. ქუთაისის განყოფილების სასარგებლოდ. გარდა იმისა, რომ მიზანმა უნდა მოიზიდოს ხალხი, ამ საღამოში მონაწილეობას იღებს ცნობილი **მომღერალი ნანობაშვილი**, კოლი ერისთავი, გურულებისა და ადგილობრივი მომღერალთა გუნდი და სხვა. ქუთაისის საზოგადოება ბილეთების ჩაუჩქებლად დაესწრება ამ საღამოს, რითაც საზოგადოების მიზანს ხელს შეუწყობს.

წ. კ. გ. ს. განყოფილების კრება.

თებერვლის პირველ ნახევარში მოხდება პირველი საზოგადო კრება წერა-კითხვის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრთა. გარდა ანგარიშისა და მიმდინარე საქმეთა განხილვისა, გამგეობის რამდენიმე წევრია ასარჩევი.

სახალხო უნივერსიტეტი.

ამ თვის დამლევს სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობა წლიურ კრებას იწვევს. წესდებით გამგეობის წევრთა რიცხვის მესამედი თავს ანებებს სამსახურს და მათ მაგივრად ახლები უნდა აირჩეს. როგორც შევიტყეთ, საზოგადოების კასა სანუგეშო მდგომარეობაშია. ნაღდი ფული, თურმე ამ ჟამად 800 მანეთს აღემატება, რაც საზოგადოებას საშუალებას მისცემს თავის მოქმედება გააფართოვოს.

გამგეობას სხვათა შორის შუამდგომლობა აღუძრავს, უფლება მიეცეს თავისი განყოფილება დ. ზესტაფონშიაც გადიტანოს.

კარგს ინებებდა გამგეობა, თუ საზოგადო კრების მოწვევამდე შეკრებამდეს ცნობებს იმ თანხების თაობაზე, რომლებიც საზოგადოების დაარსებამდე შეიკრიბა ქუთაისში იმ მიზნისათვის, რომელსაც სახალხო უნივერსიტეტის საზ. ემსახურება და თავის მოხსენებას წარუდგენდეს კრებას.

რამდენადაც ვიცით, ამ ნაირი თანხები კერძო პირთა ხელშიაცაა. კარგს ინებებდენ ესენიც, თუ საზოგადოებას საჭირო ცნობებს მიაწვდიდნენ.

გიმნაზია განსაცდელშია.

ქუთაისის ქართულ გიმნაზიას განსაცდელი მოელის. მკითხველს უთუოდ არ დავიწყებია, რომ საადგილ მამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ ნამყოფ (მთავრობის დანიშნ.) ერემეევის მეცადინეობით, ფინანსთა მინისტრმა ბანკის გამგეობას ქართულ გიმნაზიის შესანახად აუკრძალა ავანსების ძლევა ამა წლის 1 იანვრიდან.

ბანკის გამგეობა და განსაკუთრებით ფინანსების მინისტრის რწმუნებული სობრიევსკი, რასაკვირველია, მინისტრის ბრძანებას გადაუხვევენ და ამ ნაირად გიმნაზიას არსებობის წყარო ესპობა. სწავლის ფული რომ გიმნაზიას ვერ შეინახავს, ცხადია, მით უმეტეს რომ მოსწავლეთა უმრავლესობა მეტად ღარიბია. თუნდაც ყველამ შეიტანოს სწავლის ფული, საქმეს, მაინც არა ეშველება რა. ამიტომ ამ თვის დამლევს გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის მოადგილე თ-დი დავით ნიჟარაძე და ბანკის გამგეობის თავმჯდომარე, პეტერბურგს აპირებენ წასვლას, რათა პირადის შუამდგომლობით დაარწმუნონ ფინანსთა მინისტრი, გიმნაზიის შესანახად ნება დართოს.

ბანკს შარშან ორი მილიონის სესხი გაუცია, მაშასადამე მისი საქმეები გვარიანად მიდის და გიმნაზიისათვის დახმარების აღმოჩენა არ გაუძნელდებათ.

ქალაქის თავის არჩევნები.

ქალაქის გამგეობამ გუბერნატორისაგან ცნობა მიიღო, რომ ბ-ნი ი. ფანცხავა ნამესტნიკმა არ დაამტკიცა და წინადადებაც მიიღო, დაუყოვნებლივ მოახდინოს ახალი არჩევნები.

ჯერ-ჯერობით ამის თაობაზე ხმოსანთა შორის არაფერი მოლაპარაკება არ მომხდარა-რა. ამბობენ ბ-ნ ვ. ჩიკვაიძეს, ჰსურს კენჭი იყაროსო. ხმოსანთა ერთი ჯგუფი ქალაქის თავად ბ-ნ გრიგოლ გველესიანს ასახელებენ, ზოგნი მომხრენი არიან, ხელმეორედ აირჩიონ ბ-ნი ფანცხავა, ზოგს გ. ჟურულის დასახელება ჰსურს.

ახალციხე

ქართულ სკოლის რევიზია

ვ. ასათიანმა და ი. მაისურაძემ სასკოლო კომიტეტის დავალებით ქართულ სკოლას რევიზია გაუკეთეს. სწავლის საქმე რიგიანად ყოფილა დაყენებული. წელს მასწავლებლად არიან ქ-ნი ხახუტაშვილი, ქ. ჯუღელი და ხელსაქმის მასწავლებელი ს. ბაიბურთელი.

საკვირაო სკოლა.

საკვირაო სკოლის საქმე თუმცა წინ მიდის, მაგრამ კარგი იქნება მისი დამაარსებელი ქ-ნი ჯუღელი ახალციხის მოწინავე ინტელიგენციას მოიწვევდეს და დრო გამოშვებით ლექციებსაც აკითხებდეს ამა თუ იმ საჭირ-ბოროტო კითხვებზე.

სამოქალაქო კლუბში.

22 დეკემბერს აქაურ სამოქალაქო კლუბში სომხური წარმოდგენა იყო. ერთბაშად სათეატრო დარბაზის მახლობელ ოთახიდან ყვირილი და აურ-ზაური მოისმა. ბანქოს მოთამაშე შეზარხოშებულ ყმაწვილებს ჩხუბი მოჰსვლოდათ. როგორც დანამდვილებით გავიგეთ კლუბის ადმინისტრაციას მოჩხუბარნი კლუბიდან დროებით გაუძევებია, სანამ საქმე გამოირკვეოდეს.

სამშაბათს 12 იანვარს, შუადამისას ბაზრის ერთ რიგს ცეცხლი გაუჩნდა. რადგან წყალი გაყინული იყო, ცეცხლი მეორე დილამდე ვერ ჩააქრეს. დაიწვა რამოდენიმე დუქანი, კაცებიც დაშავდა. ზარალი დიდია.

რა უფლებით?*)

(წერილი რედაქციის მიმართ)

გაზეთ „ზაკავ. რეჩ“-ის მერვე №-ში მოთავსებული ბ. ტონის წერილი წავიკითხე და გავკვირდი. პირველ ყოვლისა წერილის კილომ და ავტორის ლექსთა-წყობამ გამაკვირვა. ავტორი ცინიზმად ჰნათლავს ტფილისის ქალაქის გამგეობის უკანასკნელ დადგენილებას, რომლის თანახმადაც სახალხო დღეები ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის ხელში გადავიდა. წერილის კილო იმითია საკვირველი, რომ იგი სრულიად არ შეეფერება ამ უბრალო და ადვილად გადასაჭრელ კითხვას. თუ ავტორს დაუჯერებთ,—ქალაქის გამგეობას და ჩვენ,—„წრის“ წარმომადგენელი,—დიდი შეურაცხყოფა მიგვიყენებია ქართველი ერისათვის. მერე, იცით რითი? მითი, რომ სახალხო წარმოდგენებისათვის დანიშნული დღეები არ დაუთმო იმ ქართულ დრამატიულ საზოგადოებას, რომლის გამგეობაც მთელი სეზონის განმავლობაში მხოლოდ ხელს უშლიდა და აბრკოლებდა **ქართულ სახალხო წარმოდგენების** საქმეს იმით, რომ თითქმის არც ერთი ჩვენი ნიჭიერი მსახიობთაგანი წარმოდგენებისათვის არ დაგვანება. მაგრამ ამაზე ქვევით მოგახსენებთ. კითხვა თავის-თავად მეტად მარტივია. ორი **ქართული** დაწესებულება თხოულობდა სახალხო წარმოდგენების დღეებს: ქართული დრამატიული საზოგადოება და ზუბალაშვილების მიერ აშენებულ სახალხო სახლთან არსებული „სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე“, სახლის გამგე კომისია და ქალაქის გამგეობა გარემოებამ ისეთ პირობებში ჩააყენა, რომ არსებითად მათ უნდა გადაეწყვიტათ ამ ორთა შორის ატეხილი დავა. დავა, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ გადასწყდა. მეორე მხარე,—ესეც ბუნებრივია, რასაკვირველია, უკმაყოფილო დარჩა. მაგრამ რა შუაშია აქ **ცინიზმი**, ან ეროვნულ ინტერესების შეურაცხყოფა? რითი დაიმსახურა ასეთი ავტორიტეტი ჩვენმა დრამატიულმა საზოგადოებამ, რომ მისი გამგეობის სურვილებს წინააღმდეგ წასვლა ცინიზმად ინათლება? ან ავტორსა და გაზეთს ამითი რისი თქმა ჰსურთ? ნუ თუ იმისი, რომ წრე ქართული არ არის, ან ქართულ ხალხს არ ემსახურება იგი? ამის თქმამდე საჭიროა ორივე დაწესებულების წარმოდგენებზე შეიხედოთ და დაინახავთ, სად არის ქართული ხალხი და ვინ ემსახურება მას...

არ შემიძლიან აქვე არა ვსთქვა, რომ ჩემთვის სრულიად გაუგებარია, გაზეთს რად დასჭირდა გამგეობის ჩემს კუდზე მობმა, რადგანაც, პირველ ყოვლისა, მე არავითარი კუდი არა მაქვს და არც არავინ წარმოიდგენს, რომ ტფილისის გამგეობა მე რამე კითხვაში გამომიდევნოს. ასეთი ეჭვის აღება ყველაზე ნაკლებ თავს: ალ. არგუტინსკიზე შეიძლება, რომლისთვისაც მე უსიამოვნების მეტი არაფერი მიმიყენებია ყველა იმ შემთხვევებში, როცა მისთვის ჩემი ხმა იყო საჭირო სანამ ხმოსნად ვიყავი. არც ალ. ხატისოვია ისეთი პატარა ვინმე, რომ მე გამომიდევნოს. ამიტომ სრულიად უადგილოდ და ურიგობად უნდა ჩაითვალოს ამ ნიადაგზე გაზეთის მხრივ გადაკრულ-გადმოკრული სიტყვები.

გამგეობა დრამატიული საზოგადოების წინააღმდეგი რად იყო და რა მოსაზრებით გადასცა „სახალხო წრეს“ ეს დღეები, სხდომის ოქმიდგან [illegible] ადვილათ დაინახავს, [illegible] მატიულ საზოგადოების წარმომადგენელმაც თავისი ყურით გაიგონა. ამიტომ ამაზე შეჩერება მეტად მიმაჩნია. მოგახსენებთ მხოლოდ იმას, თუ რა უფლებით ვთხოულობდით ამ დღეებს ჩვენ, „წრის“ წარმომადგენელები, და ამიტომ არ შეეძლო არავის, ვინც კი პირუთვნელად იმოქმედებდა, ჩვენს წინააღმდეგ წასვლა.

მაგრამ სანამ ამაზე გადავიდოდე არ შემიძლიან გაკვრით არ აღვნიშნო, რომ პირადად მე შარშანაც და წელსაც ვესწრებოდი თათბირზე **მხოლოდ, როგორც „წრის“ წარმომადგენელი** და არა როგორც **ხმოსანი ან ხმოსნად ნამყოფი.** ეს ტიტული მე დიდი ხანია ჩამომერთვა. მაშინაც და ახლაც მე ვთხოულობდი დღეებს „სახალხო წარმოდგენების მმართველი წრისათვის, ხოლო **დრამატიულ საზოგადოებისათვის არასოდეს**.—მაგრამ, რადგან დრამატიულ საზ—ბის გამგეობამ ის დღეები წინდაწინვე ჩვენ გადმოგვცა, ამიტომ შარშან წრის წარმომადგენლებმა განვაცხადეთ: ჩვენ წინააღმდეგი არ ვართ, დღეები ისევ დრამატიულ საზოგადოების სახელზე დარჩეს-თქო. აშკარაა, იმ პირობებში სხვანაირად მოქცევა არც შეგვეძლო. მე ახლაც ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ ძველი დრამატიულ გამგეობასთან ჩვენ არც წელს მოგვივიდოდა არავითარი „ჯახი“, რადგან იგი, ვგონებ, არ მოისურვებდა დღეების წართმევას და პირიქით, როცა კი მივმართავდით, მსახიობებს გვაშველებდა ხოლმე.

განახლებული გამგეობა კი სულ სხვა გზას დაადგა. მან სეზონის დაწყებამდე მსახიობთ სახალხო წარმოდგენებში მონაწილეობის მიღება აუკრძალა და შემდეგ ხომ, თითქმის სულ არავინ გაგვაკარა.

ამის შემდეგ სახალხო სახლის გამგემ, ბ. რუბინოვმა, ნოემბრის ერთ მშვენიერ დღეს, დრამატიულ საზოგადოების გამგეობის მინდობილებით გადმოგვცა, რომ დრამატიული საზოგადოება დღეებს თავიანთ განკარგულებაში იტოვებენ და წრეს წარმოდგენის მართვას უკრძალავენ. ეს ფაქტი მაშინ გაზეთებმაც აღნიშნეს. ამას ჩვენ რასაკვირველია, გულგრილად ვერ შევხვდებოდით და რადგან, დრ. გამგეობამ ჩვენთან არა თუ მოლაპარაკება, შეტყობინებაც არა სცნო საჭიროდ, ქალაქის გამგეობას მივმართეთ რათა დღეები პირდაპირ ჩვენთვის გადმოეცათ. სახ. სახლის გამგე კომისსიისა და ქალაქის გამგეობის შეერთებულს სხდომაზე, რომელიც იმ ხანებში მოხდა, ჩვენ ჩვენი თხოვნა გავიმეორეთ. დრამატ. გამგეობის წარმომადგენლებმა კი უკან დაიწიეს და გამგეობას სთხოვეს,—დროებით ძველი წესი დასტოვეთო, რადგან იმედს იძლეოდნენ, ჩვენ თითონ მოვაგვარებთ ერთმანეთში საქმესო. ჩვენ წინააღმდეგნი არ გავხდით.

საქმე მიყურდა. დრამ. საზ. გამგეობა ჩვეულებრივ მსახიობთ ჩვენთან სათამაშოდ არ უშვებდა და არც არაფერს გვაკითხავდა, თუმცა ოფიციალურად დღეები წინანდებურად მას ეკუთვნოდა და, სხვა არა იყოს რა, ვალდებულიც იყო საზოგადოების წინაშე, ეცნობებინა, თუ როგორ მიდიოდა წარმოდგენების საქმე. მაგრამ მათ სახალხო წარმოდგენებისთვის არა სცალოდათ, და მისი საქმე სრულიად არ აინტერესებდათ.

ჩვენვე, როგორც შეგვეძლო, ვმუშაობდით, რამდენადაც ძალა და ღონე შეგვწევდა და გვამხნევებდა ჩვენი აუდიტორიის ინტერესი და მისი კეთილი განწყობილება. მაგრამ დრ. საზ. გამგეობამ იერიში ისევ მოიტანა. მან ქალაქის გამგეობას სთხოვა ეს კითხვა საბოლოვოდ გადაეჭრა და დღეები მისთვის დაეთმო. აშკარა იყო რომ წრეს დღეებს ართმევენ; ჩვენც როგორც გარემოება მოითხოვდა და საქმის ინტერესი გვკარნახებდა ისე მოვიქეცით. ჩვენ მოვითხოვეთ დღეები სრულიად ჩვენთვის გადმოეცათ, დრამატიულ საზოგადოების დამოუკიდებლად. ამ თხოვნას ასეთის მოსაზრებით ვასაბუთებდით: დრამატიული საზოგადოების გამგეობის გამგეობას სახალხო თეატრისთვის დღემდე ხელი არ გაუნძრევია. მას დღეები ნომინალურად ეკუთვნოდა. ფაქტიურად კი ისინი ყოველთვის იმ მუშაკთა ხელში იყო, რომელნიც დღეს „წრის“ გარეშემო არიან შეკრებილნი. ამ წრეს პირდაპირ კავშირი აქვს იმ აუდიტორიასთან რომელიც სახალხო თეატრში დაიარება, ყოველ მათგანს ადვილად შეუძლია გავლენა იქონიოს საქმის მწარმოებლებზე და ისე მოაწყონ საქმე, როგორც

---

*) თუმცა [illegible] არ ვეთანხმებით ავტორს, მაგრამ ამ წერილს მაინც სიამოვნებით ვბეჭდავთ, რათა ავტორს საშუალება მივსცეთ თავის აზრია გამოთქმისა. რედ.

ლხინში გასალკლდევებულს, ანუ რუსულად რომ ვსთქვათ убѣленный сѣдиною. სიტყვა ჰარმაგი კი, როგორც ჩვენი წინა წერილში „მოსე ჯანაშვილის ახალი ნაშრომის გამო“ გამოქვეყნებული ვისრამიანიდან ფაქტები გვიჩვენებს, ნიშნავს თეთრს, შემდეგ **თეთრ ცხენს** და ივივეა, რაც სპარსული ჩარმაჰ; (აწ მტერობისა რახსისაგან გარდაჯდომილვარ და სიყვარულისა ჰარმაგსა *) შეჯდომილვარ.

ერთი სიტყვით, ხალხის პირით ჩაწერილ სიტყვებს, თქმა არ უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მაინც კიდევ საჭიროა მათი შეჯერება, უკრიტიკოდ კი მათი მიღება დიდ დანაშაულობად უნდა ჩაითვალოს. ამიტომაც ჩვენ დიდ სითამამედ ვსთვლით ბ-ნის ჯანაშვილის მიერ ინგილოურის ბაშტას განუკითხავად მიღებას იმ მნიშვნელობით, როგორც მას ჰქონია ჩაწერილი.

აქედან ცხადია, რომ თუმცა ბ. ჯანაშვილს დიდი უფლება აქვს ჩვენ დარიგება მოგვცეს და გვითხრას: კაი ლექსიკონებს კაი გამომყენებელიც უნდა“-ო, იხ. მისი საპასუხო წერილი, სახ. გაზ. № 192, გვ. 2, სტრ. 6. მაგრამ ჩვენც არა ნაკლების უფლებით, თუ არა მეტისაც შეგვიძლია მოვახსენოთ ბ. ჯანაშვილს: „ჩაწერილს ხალხურ მასალასაც კაი გამომყენებელი უნდა“**).

2. სირა: ბ. კარიჭაშვილით სირა ნაცვლად სიტყვისა სირი—ჩიტი. აბულაძით: „სირა=(სირი)—პატარა ფრინველი, ჩიტი“. ეს სირა კი სულ სხვა სიტყვაა და არა პატარა ფრინველი, ჩიტი! ამის შემდეგ ბ. ჯ—ლი იმოწმებს ინგილოურს (თუმცა სამწუხაროდ, ვერ ვამჩნევთ ამ სიტყვას მისი შრომის „ფარსად. გორგ. და მისნი შრომანი“ ტფილისი, 1896 წელს ბოლოს დართულს ინგ. ლექსიკონში, იხ. გვ. 111). და თან იმეორებს იმასვე, რაც უკვე აქვს გამოთქმული პროფ. ნ. მარრს შემდეგის სიტყვებით:

„სირა Sira толкователи (т. е. Каричашвили и Абуладзе) „Барсовой Кожи“ смѣшиваютъ съ სირი siri—птица, тогда какъ это греч. სირა цѣпь въ значенiи линiи происхожденiя; породы, семьи, категорiи, იხ. Витязь. § 10, стр. XL VII, ibid. пр. 6. და შემდეგი, და აქ რომ მიიღოს უფლება პროფ. მარრის წინააღმდეგ გამოიყენოს ხსენებული სიტყვის უკანასკნელის მიერ განმარტება, იგი ბრძანებს: მე კი ასრე განვმარტავ: „დამიშლიან ჩემნი კავშირნი და შემრთვიან მკვდრების რიგს, წესს.“ არა მგონია, ამ ორგვარის განმარტების წამკითხველმა უპირატესობა მისცეს ბ. ჯანაშვილის ვითომდა დამოუკიდებელ განმარტებას, იხ. ნაშრომი, გვ. 8—9.

სიტყვა ხეული (ტ. 4.) კარიჭაშვილით ხესავით ამოსული“, აბულაძით—resp. ხებული, სობილი, ნასობი, მარრით—раздерeть, буквально раздирая, ა. ს—ლიო—მთელი ეს მე 4-ე ტაეპი ყალბია, რუსთაველს არ ეკუთნის... ერთი სიტყვით „ხეული“ ვერცერთს მკვლევარს, ბ. ჯანაშვილის ფიქრით, სისწორით ვერ განუმარტავს. ამის გამო ბ. ჯანაშვილი ედავება პრ. მარრს, აყენებს ქარბუქსა და კორიანტელს და ბოლოს უნებლიეთ წამოცდება: „დღესაც ჩვენ ვამბობთ: ისეთ-ისეთები გადმომკრა (საუბარში, ლაპარაკში, სწორედ გულს ლახვარივით დამესო, მომხვდა!!... ამნაირად ჩვენმა მხცოვანმა მკვლევარმა უარჰყო ი. აბულაძის მიერ ხეულის განმარტება სიტყვებით: სობილი, ხებული, ნასობი მხოლოდ იმიტომ რომ საბუთი ჰქონოდა ყველა ზემორე მოყვანილ პირთა წინააღმდეგ ელაპარაკა, მაგრამ ვერც კი შენიშნა რომ წამოსცდა: დღესაც ვამბობთ: გულს ლახვარივით დამესოვო, იხ. ნაშრომი, გვ. 10, სტრ. 6.

ი. აბულაძე.

(შემდეგი იქნება).

---

*) ეს ამონაწერი ბევრმა ვერ გაიგო და გვეუბნებიან, იქნება იმ ადგილას ჰარმაგიანი თეთრ ცხენს არც კი ნიშნავდესო მაგრამ ამგვარი გაუგებრობა აიხსნება მხოლოდ სპარსული ენის უცოდინარობით. სპარსულ პოეტურ ნაწარმოებში ნამეტურ სა'დი შირაზელის გულისტანში, ძალიან ხშირად გვხვდება ისეთი ფიგურები, როგორც მაგ. ზრდილობის ან ჯიუტობის, მჭერმეტყველების, სიყვარულის, მტრობის, მეგობრობის, მოხსენების ცხენზე **ჯდომა და ჭენება**.

) რომ მართლაც კაი გამომყენებელი უნდა ამას მოწმობს ის სამწუხარო ფაქტიც, რომ ჩვენებური ცრუ-ფილოლოგიურის მიმართულების მიმდევარნი, რომელთა რიცხვი საკმაოა ჩვენში, ხშირად არაბულ სიტყვას „თადარიგს“ აწარმოებენ სიტყვებიდან თავი და რიგი, რადგან იმერეთში ამ სიტყვების მიბაძვით ამბობენ, თავდარიგს და არა თადარიგს. ერთმა ახალგაზდა პოეტმა რუსთაველის მაქანი მაქნისად გაიგო და ამ აზრით იხმარა ეს სიტყვა ერთს ხალხურ ლექსში გრ. რობაქიძის მეხამეხ, რომელიც დაიბეჭდა ერთს ხალხურ **ჟურნალში.

ამას თხოულობს სახალხო თეატრის ინტერესი. სახალხო თეატრში დრამატიული საზოგადოება სეზონის წარმოებას ვერ შესძლებს, რადგან მისი დასი მხოლოდ ხუთი-ექვსი თვე მუშაობს, სახალხო სეზონი კი ათი თვე გრძელდება.

დრამატიულ დასის დაშლის შემდეგ სახ. თეატრის საქმე შემთხვევითის პირების ხელში ჩავარდება და ეს მეტ ზიანს მოუტანს საქმეს, ვიდრე ხუთი თვის განმავლობაში უკეთ დაყენებული წარმოდგენები. გარდა ამისა, ვამბობდით და ვიმეორებთ, თუ დრამატიული დასი იკისრებს სახალხო წარმოდგენების მართვას, მაშინ ხალხს მხოლოდ ნასუფრალს მიაწვდიან, რადგან ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ თეატრისთვის გამგეობამ მსახიობთ ახალი პიესები მოამზადებინოს და აქ მხოლოდ დიდ ქართულ თეატრში რამდენჯერმე ნათამაშევ პიესებს გაიმეორებენ. ამას უკარნახებს მათ დიდ თეატრის ინტერესიც, რადგან თუ იმავე მსახიობთ და ახალ პიესებს შაურათ და ორ შაურათ აჩვენებენ, მაშინ დიდ თეატრში ბევრი არც კი შეიხედავს. დრამატიული საზოგადოების გამგეობა რეპერტუარის მხრივაც არ არის საიმედო სახალხო თეატრისთვის, რადგან ის სრულიად თავისუფალი იქნება აუდიტორიის გავლენისაგან და, მოსალოდნელია, იქაც ყოველ აზრს მოკლებული „თამარ ბატონიშვილი" ან გაოფიტული „სამშობლოთი" დაიწყეს და გაათავეს სეზონი.

ყველა ამ მოსაზრებათა გამო, ჩვენ ვფიქრობთ, რომ დრ. საზ. გამგეობას არავითარი ზნეობრივი უფლება არა აქვს უკვე მომქმედ ორგანიზაციის გადაყენება მოითხოვს საქმიდან ჩამოშორება და დღეების მის სრულ განკარგულებაში გადაცემა. თვით სახ. თეატრი არც ისე პატარა საქმეა, რომ ის სხვათა შორის აწარმოოს ვინმემ. დრ. საზ. გამგეობა კი მხოლოდ ასეთ კავშირს დაიჭერს მასთან. სამს საბუთს გვაძლევს მთელი წარსული და მათი დამოკიდებულება საქმესთან. მაგალითისათვის საკმაოა მოვიგონოთ, რომ დღეები იურიდიულად მათ ეკუთვნოდა, ზნეობრივი პასუხის გებაც ეძებოდათ ჩვენი მოქმედებისათვის, და მიუხედავათ ამისა, ერთხელაც არ შემოუხედნიათ სახ. თეატრში და არ უკითხავთ, როგორ მიდის თქვენი საქმეო. შეკითხვაზე, რით არის გამოწვეული თქვენი სურვილი ამ დღეების წრისაგან ჩამორთმევისო, დრ. საზ. წარმომადგენლებმა განაცხადეს —ჩვენ გადმოგვცეს, რომ წრეს ცუდათ მიჰყავს საქმეო. სთქვეს და არც კი გაწითლდნენ, რომ სხვისი ნათქვამით მოქმედებდნენ!.. ახლა იკითხეთ, რა მოსაზრებით გვეუბნებოდნენ უარს მსახიობებზე? „переутомлены", „усталъ" (დაქანცული არიანო), თითონ კი უკრძალავდნენ ჩვენთან თანამშრომლობას, სახალხო თეატრისათვის დახმარებას.

ამის შემდეგ უკვირთ და გაიძახიან, როგორ გაჰბედა სომხური დრამატიული საზოგადოების წარმომადგენელმა კომისიაში ჩვენს წინააღმდეგ ხმის ამოღებაო. მაშ რა უნდა ექნა იმ პატიოსან ადამიანს, რომელმაც დაინახა სრული სიმახინჯე ჩვენი დრამატიული საზოგადოების გამგეობისა თუნდ იმ უბრალო ფაქტში, რომ „ჩვენები" მსახიობთ უკრძალავენ სახ. თეატრში თამაშობას იმ დროს, როცა სომხური საზოგადოება ხელწერილით ავალებს მსახიობს სახალხო წარმოდგენებში მონაწილეობა მიიღოს.

კიდევ ასეთი უბრალო ფაქტი გაიხსენეთ სახალხო სახლის გამგე კომისიაში შემომწირველთა სურვილის თანახმად, ერთი ადგილი აქვს დათმობილი ქართულ დრამატიულ საზოგადოების წარმომადგენელს, მაგრამ ამ საზოგადოების ხელმძღვანელი დღემდის ვერ მოუხერხებიათ მისი არჩევა და მმართველ კოლლეგიაში შეყვანა.

რით უნდა ახსნათ ეს?

რასაკვირველია, მხოლოდ სრულის გულგრილობით სახალხო სახლისადმი და იმ სახლის გარეშემო შემოკრებილ ხალხის ინტერესებისადმი. უკანასკნელებმა ისიც კი არ იციდნენ, თუ რა გზით შეიძლება ამ სახლის მმართველ კომისიაში შესვლა და ისე, ზეპირად, გაიძახოდნენ, კანონით დღეები ჩვენ გვეკუთვნისო.

აი ასეთია დრ. საზ. გამგეობის კავშირი და ინტერესი სახალხო სახლისადმი, ქართულ სახალხო თეატრისადმი და როცა მას დღეები ჩამოერთვა, გაიძახიან, ეს წარმოუდგენელი ცინიზმიაო.

რა უფლებით? **ნ. ელიავა.**

მუშა ქალთა კლუბი
ტფილისში

კავკასიის ქალთა საზოგადოებამ ნებართვა მიიღო ტფილისში დაარსონ მუშა ქალების კლუბი, იმ სახისა როგორიც მოსკოვშია. 7 წელი შესრულდა, რაც გრაფინია ბობრინსკისამ მოსკოვში დაარსა მუშა ქალების კლუბი. ამ კლუბში ყოველ დღე იკრიბება 8—11 მუშა ქალი ახლო-მახლო ქარხნებიდან. უქმე დღეებში, კლუბის გამგენი, მართავენ შინაარსიან ლექციებს, ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოებს, წარმოდგენებს, ცეკვათამაშს. მუშა ქალები დიდი სიამოვნებით იღებენ მონაწილეობას ყველა ამაში. დანარჩენ დღეებს იგინი სწავლას ანდომებენ: სწავლობენ წერა-კითხვას, ჭრა-კერვას, სიმღერას, და სხვა. მუშა ქალებმა ძალიან შეიყვარეს ეს კლუბი, სულით და გულით მიენდნენ, ზოგი მათ შორის გამგეობის წევრია და მართვა-გამგეობაშიაც ცხარე მონაწილეობას იღებს.

გამგეობის და თანამშრომელთა შორის ნამდვილი ამხანაგური განწყობილება, უფრო ამით აიხსნება კლუბის ასეთ დაწინაურება. ამ კლუბს 200 მუშა ქალზე მეტი წევრი ჰყავს. 50 თანამშრომელი არის. კლუბის საშუალებას შეადგენს მცირედი საწევრო ფული მუშა ქალებისა, და დიდი დახმარება კერძო პირებისაგან. როდესაც დარწმუნდნენ თუ რა სარგებლობა მოაქვს ამ კლუბს, მაშინვე სხვა დასხვა საზოგადოებებმაც დაარსეს ამ ტიპის კლუბი სხვა ნაწილებში ქ. მოსკოვში.

კ. ქ. ს. მოუწოდებს ტფილისის საზოგადოებას, რომ ისეთი თანაგრძნობა და დახმარება გაუწიოს ხსენებულ კლუბის დაარსებაში, როგორიც მათ სჩვევიათ ყოველ კეთილ საზოგადო საქმეში.

ტფილისში მუშა ქალთა უმრავლესობას ქართველები შეადგენენ, ამიტომაც ქართველ საზოგადოებას, ნამეტურ ქალებს, მეტი მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ საქმეში. კლუბს ესაჭიროება: როგორც ნივთიერი, ისე პირადის შრომით დახმარება.

ამ საქმის თაობაზე ყოველი ცნობები „კ. ქ. ს." ბიუროში მიიღება სუდებნი ქუჩაზე, 4, მისავალი მთაწმინდის ქუჩიდან. ბიურო ღიაა ორშაბათობით და ოთხშაბათობით საღამ. 6—8 საათ.

ნ. ტყეშელაშვილი.

მოწერილი ამბები

ს. დიდი ჯიხაიში (იმერეთი) სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებათა შორის დიდი-ჯიხაიშში არსებობს უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველო, რომელსაც საკუთარი გამგე, გამგეობის წევრნი და სარევიზიო კომისია უდგას სათავეში. ვინ მოსთვლის რამდენჯერ გადარჩენილა სიკვდილს ეს ფრიად სასარგებლო განმანათლებელი დაწესებულება უსახსრობის გამო, მაგრამ წინედ თუ კარგს საკითხავ წიგნებს ვერ იშოვიდით შიგ, ორიოდე პერიოდული გამოცემა მაინც იყო. ეხლა კი, მიუხედავად იმისა, რომ მას საკმაო საშუალებები აქვს, თითქმის ორი თვის განმავლობაში, არც ერთი ჟურნალი, ან გაზეთი არ მიუღია, რა არის ამის მიზეზი? უსახსრობა.—არა გაურჯელობა? —ამასაც ვერ ვიტყვით, რადგან ხუთ-ექვსი კაცისათვის გაზეთის, ან ჟურნალის გამოწერა დიდ შრომას არ შეადგენს.

შეიძლება ის იყოს მიზეზი, რომ ამ უკანასკნელ დროს თითქმის მარტო ერთი ქართული გაზეთი გამოდიოდა? მაგრამ ეს თუ აგრეა ის ერთი გაზეთი მაინც გამოეწერა ბიბლიოთეკის გამგეობას? ის კი ასე არ მოიქცა. დასკვნა —საჭიროდ არ დაინახა.

სირცხვილია, სხვა რომ არ იყოს!

fon.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. კვირას, 16 იანვარს, ქართულ დრამატიულ დასის მიერ ვალ. გუნიას საბენეფისოდ წარმოდგენილ იქმნა ვ. ყიფიანის ისტორიული დრამა „სამეგრელოს მთავარი ლევან". ლევანის როლს ასრულებდა თვით მობენეფისე, დარეჯანისას — ქ-ნი რონელი, რომელიც რამდენიმე წელიწადია ქართულს სცენაზე აღარ გამოსულა. მობენეფისე კარგი იყო ლევანის როლში. განსაკუთრებით კარგად გადმოგვცა სულიერი ტანჯვა ლევანისა უკანასკნელს მოქმედებაში, როდესაც უწინდელ გმირის მაგივრად ნების-ყოფას შეკვეცილ და სულიერად დაცემულ პიროვნებათა ვხედავთ. კარგი იქნებოდა ქ-ნი რონელი დარეჯანის როლში, რუსული კილო რომ არა ჰქონოდა, აღვნიშნავთ ბ-ნ ბ. მდივანსაც, რომელმაც პაატას როლი კარგად ჩაატარა.

უცხოეთი
არეულობა შამპანში.

რამდენისამე დღის წინად შამპანში მოულოდნელად არეულობამ იფეთქა წვრილ მევენახეთა შორის. ფრანგულ გაზეთების სიტყვით, არეულობის ისტორია ასეთია:

წელს შამპანში ღვინო ნაკლებად მოვიდა და მცხოვრებნი დიდს სიღარიბეში ჩაცვივდნენ. ჯერ კიდევ ოქტომბერში მცხოვრებთა შორის რაღაც მღელვარებამ იჩინა თავი. გაიმართა დიდი მიტინგი, რომელსაც 10,000 კაცი დაესწრო. მიტინგმა დაადგინა, დახმარება ეთხოვა მთავრობისათვის და აგრეთვე წინადადება მიეცა, რომ მხნედ განაგრძოს ბრძოლა ღვინის ფალსიფიკაციასთან, რომელმაც ბოლო ხანს დიდი ფესვი გაიდგა მსხვილი მეღვინეების წყალობით, რომელნიც სხვა ადგილებში ყიდულობენ უვარგის ღვინოს და შამპანის ღვინოდ ასაღებენ. ამის შემდეგ ბევრ ადგილას წარწერები გამოკიდეს: „შეასრულეთ ჩვენი სურვილი, ან ერიდეთ ყუმბარებს. სიკვდილი ფალსიფიკატორებს!"

მცხოვრებთ ფულით დახმარება მისცეს, ხოლო ფალსიფიკაციასთან ბრძოლის საკითხის განხილვა გადადო. დეკემბრის მიწურულებში ოტვილიერში კვლავ მოჰხდა მცირე არეულობა.

ახლანდელმა არეულობამ მოულოდნელად იფეთქა 4 იანვარს. პირველად დაეცნენ პერიეს ქარხანას, დაბა დამერიში, თავდამსხმელთა რიცხვი 2.000 კაცს აღემატებოდა. პოლიციამ მათთან გამკლავება ვერ შესძლო და ქარხანა მთლად აკლებულ იქმნა. თვით პერიემ დამალვა მოასწრო, მაგრამ ქარხანაში დამზადებული ღვინო სულ დაუქციეს. გამოწვეულ იქმნა ჯარი, რომელმაც ძლივს გაფანტა ხალხი. მეორე დღეს არეულობა ვანტეილში მოჰხდა. დაიწყო გამოძიება, მაგრამ არც ამან უშველა. არეულობა ოტვილიერშიც დაიწყეს. აიკლეს ბოკკილიონის სავაჭრო სახლი, საიდანაც დიდძალი ღვინო გამოიტანეს და გადაქციეს.

ამ ჟამად არეულობა მინელდა, რადგან ხალხს დაჰპირდნენ, შამპანის შესახებ საკითხს პარლამენტი ჩქარა განიხილავსო.

სტუდენტების გაფიცვა გერმანიაში.

გერმანიის ქალაქ ჰანოვერში საბეითალო ინსტიტუტის სტუდენტები გაიფიცნენ. გაფიცვის მიზეზი შემდეგია:

ჰანოვერის ინსტიტუტის პროფესორთა საბჭოსაგან არჩეული რექტორი კი არა ჰყავს, როგორც გერმანიის სხვა უმაღლეს სასწავლებლებშია, არამედ სამინისტროსგან დანიშნული დირექტორი. პროფესორები და თვით დირექტორებიც დიდიხანია შუამდგომლობენ, ინსტიტუტში ისეთივე წესი შემოიღონ, როგორიც უნივერსიტეტებშია. ბერლინის საბეითალო ინსტიტუტმა ამ საწადელს 20 წლის წინად მიაღწია; ამასვე ელოდნენ ჰანოვერელებიც, მაგრამ ამაოდ: ასეთ შუამდგომლობას, სამინისტრომ წელსაც უარი უთხრა. ამიტომ თავი გამოიდეს თვით სტუდენტებმა. მოიწვიეს სტუდენტთა საერთო კრება და დაადგინეს: ლექციებს აღარ დაესწრონ და საზოგადოდ ბოიკოტი მოუცხადონ ინსტიტუტს; მონაწილეობა არ მიიღონ, სხვათა შორის, ჩვეულებრივ სადღესასწაულო აქტში, რომელიც იმპერატორის დაბადების დღეს იმართება ხოლმე. პროფესორთა რჩევამ და სამინისტროს მუქარამ ვეღარ გასჭრა. სტუდენტთა გაფიცვა ერთსულოვნად მიმდინარეობს. გაფიცულნი არიან ისინიც, რომელნიც წელს ათავებენ კურს.

სამინისტრომ ჰანოვერში დაუყოვნებლივ გაგზავნა თავისი მოხელე და დაავალა, კონფლიქტი მშვიდობიან მოლაპარაკებით მოსპოს.

რუსეთი
ხელოსანთა კრება.

ხელოსანთა კრებაზე მოხსენებულ იქმნა, რომ მრეწველობის მინისტრს წარუდგა დეპუტაცია, რომელმაც სთხოვა კრებაზე საპატიო თავმჯდომარეობა მიეღოთ. ტიმაშევმა უარი განუცხადა იმ მიზეზით, რომ პროგრამაში შეტანილი ზოგიერთი საკითხი მეტად სახიფათოდ და მწვავედ არის დაყენებული. ჩემისთანა სახელმწიფო მოღვაწეს კი ამისთანა კრების ხელმძღვანელობა არ შეჰფერისო.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მოხსენება წარუდგინეს და სთხოვეს ებრაელებს ხელოსანთა კრებაზე დასწრება გაუადვილოს. მოსალოდნელია კრებაზე ათასამდე სული მიიღებს მონაწილეობას.

უნივერსიტეტთა წესდება.

როგორც გადმოგვცემენ, სახალხო განათლების მინისტრი და მისი ამხანაგი შეუვალი მომხრენი არიან უნივერსიტეტთა საერთო წესდების გარეშე, ყველა უნივერსიტეტისათვის კიდევ ცალ ცალკე შეიმუშაონ წესდება.

შვარცი და სამინისტრო.

გაზეთი „რეჩი" აღნიშნავს, რომ შვარცის სამსახურიდან წასვლისათანავე სამინისტროში თავისუფლად ამოისუნთქეს.

მუშათა გაფიცვა.

ეკონომიურ ნიადაგზე გაიფიცა 4000 სამსონიევის ქარხნის მუშა.

ფულის გატაცება.

ერთ-ერთ ბანკის მეარტელე მიიმალა 140 ათასი მანეთი გაუტაცნია.

ინტენდანტთა რევიზია.

დასრულდა 15 ინტენდანტის წინასწარი გამოძიება. ამბობენ სასამართლოში ფულის გაფლანგვის არაჩვეულებრივი სურათები გადაიშლება თვალ-წინაო დაწვრილებითს ცნობებს მალე გამოაქვეყნებენ.

განცხადებანი

მიმდინარე წლის 30 დეკემბრიდან
გაიხსნა
მუხრანსკის ახალი კერძო
სამკურნალო
მუდმივის საწოლებით.
Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цаціановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ნ. მ. ახპახვი—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.
გ. ა. ახვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.
ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.
ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.
ქ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ., ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.
ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.
ი. გ. კალანთაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.
ა. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.
მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.
გ. ა. მელქონიანი—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.
ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით.
დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.
სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—5—11)

სპეციალური
სამკურნალო
კანისა, ვენერიულის და ათაშანგის სნეულებათა.
გლიკოვნიაუის ქ. N 9, გარნიზონის ეკლესიის მახლობლად.
ავადმყოფებს ყოველ დღე მიიღებენ ექიმები გ. ა. გედალინი და ი. მ. ზაგლუდოვსკი 1—5 საათამდე და საღ. 7 ნახ.—8 ნახ. მანდილოსანთა და ბავშვთა იღება 4—5 საათამდე, ანალიზები, შეხვევა, ძიძათა მოსამსახურეთა და მუშათა შემოწმება.
მოხვლის ფასი—40 კ. კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
ერლიხ-ხატას პრეპარატით 606 წამლობა, ელექტრონით წერილი. (0—6—11)

ქალის 3 პერანგი
3 მანეთად
თხელის თეთრეულის, გამძლე ტილოსაგან შეკერილი, მოქარგული ბადიანის არშიებით. საუცხოვო, მშვენიერი, ახალის ფასონისა. აგრეთვე გზავნით მამაკაცთა 3 პერანგსა თუ მეძდეგს იმავე ტილოსას—3 მანეთად. იგზავნება უბეოდ, ფასდადებით. გასაგზავნს გადაიხდით 75 კ. ციმბირში გასაგზავნი ფასი წონის მიხედვით ვინც 6 ცალს გამოიწერს გასაგზავნ ფულს არ იხდის.
ადრესი: А. Кивману, Лодзь N 18. Метцль 2710. (4—27—2)

ვ. ყიფიანის დრამა
სამეგრელოს მთავარი
ლევან
ისტორიული დრამა 5 მოქმედებად
გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა.
ფასი ორი აბაზი
იყიდება „სახ. გაზ." რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

ქართველ ქალთა ამხანაგობის
სამკერვალოში
მიიღებენ შესაკერად კაბებს ქალებისას და ბავშვებისას. იქვე იღებენ ყოველგვარ საკერავს „გლადით" და „მეტკებს" ძალიან იაფად.
გერის კონკები ხადაც ხდება, გაბაანთ ქუჩა N 3. (10—29—6)

სინჯეთ და დარწმუნდით!
ინგლისის ქარხნის საპნით ნარეცხი თეთრეული,
ჰსინჯეთ და პირადად დარწმუნდებით, რომ ინგლისური ქარხანა
კლინალ ლიმიტედის ვაშენეს საპნით გარეცხილ
თეთრეულს 1½—2 წლის მაგიერ 6—8 წელიწადს ატარებთ.
იგი სრულიად უვნებელია და უმანქანოდ, ხელების გაუფუჭებლად 15 წუთში გარეცხავთ თეთრეულს.
სიყალბის თავიდან ასაცილებლად, გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ მთავრობის მიერ დასტამბულ მარკას № 10499—12752.
მთავარი წარმომადგენელი ვიქტორ ზატკალიკი,
შიდა-კავკასიის წარმ.-მადგენელი ზ. ნ. ხოხრიანცი
და ტ. ზ. ბახშინოვი.
С.-Петерб., Ст. Больш. пр., № 92.
Тифлисъ, Елизаветинская, № 192.
(15—322—12)

ტფილისის საბირჟო არტელი
პასუხს მგებელ მოსამსახურეებისა
ვაჭრობისა ყველა დარგისათვის შესაფერ მეარტელეებს იძლევა.
წესდების მე 2 მუხლის ძალით კისრულობს:
საქონლისა და საოჯახო ნივთების მიღება-გაგზავნას.
სხვა და სხვა დაწესებულებათა და კერძო პირთა სავაჭრო მინდობილებას ასრულებს.
აღნიშნულ საქმეს **ტფილისში არსებულ ფასებზე ნაკლებ იღებს.**
დაწესებულებათა, დიდ ფირმათა ნდობით აღჭურვილ პირთათვის არტელი ყოველგვარ ხარჯს (სარკინიგზო ბაჟს, სადგურის მუშათა ხელ ფასის გასტუმრებას და სხვა), არტელის თანხიდან ჰხარჯავს და კლიენტებისაგან ნაწილ-ნაწილ გვინაღდებს, თანხის მიხედვით.
ყოველ-გვარ ზარალს არტელი თავის სათადარიგო თანხიდან ისტუმრებს, რომელიც საბირჟო კომიტეტის ხელშია, როგორც სხვა თანხებიც.
ახალ წევრთა მიღება გრძელდება.
გამგეობა: Армянскій баз. 9. Кредитн. О-ва, № 6, Телеф. № 348. ПРАВЛЕНІЕ. (3—393—2)

სააქციონერო საზოგადოება
„გრამოფონი"
ФАБР. МАРКА
მწერავი ანგელოზი.
განყოფილება კავკასიისა და კასპიის მხრისათვის.
ტფილისი გოლოვინის პროსპ. № 9.
ამით ვაუწყებთ პატივცემულ მსყიდველთ, რომ მივიღეთ **ახალი ფირფიტები** ქვემო აღნიშნულ **გამოჩენილ მომღერალთა:**
მაშადი მამედ ფარზალიევი
ბოვეიანცი
ბაგრატა
მაღეიდ-ბეგმუდოვი
ამერიძე
აბდულაევი
ვინც აპარატსა და ფირფიტებს იყიდის, ყურადღება მიაქციოს, მსოფლიოდ ცნობილ ჩვენ საქარხნო დამღას.
კატალოგები უფასოდ მოიკითხეთ
(3—6.—2)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობის
სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
ძმ. ქეგველოვების
მაღაზიას
პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის
ახალ-ახალი
ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარალანა).
ხიზილალა
ახალი (Зернистая).
პარკისა და კოლოფებით
საუკეთესო ლოშები და ზურგიელები
მიღებულია ღვინის ორაგული (სიომგა)
მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან და წითელი ხიზილალა (Кетовая). 50 კ. 60 კ. გირ.
აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.
(წ—128—81)
ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.
საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა
საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

მადათოვის კუნძული სტამბა „ორაპანი" ტფილ. № 539.
რედაქტორ-გამომცემელი იროდიონ ხონდულაშვილი.